საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის ნარკვევი

ოქტომბერი 2024 / გამოცემა #68

NEET ახალგაზრდები: თაობა განათლების, დასაქმების, გადამზადების მიღმა

ნინი შაქარაშვილი[1]

მოკლე შინაარსი

ტერმინი: "NEET (Not in Education, Employment, or Training) ახალგაზრდები" აერთიანებს 15-29 წლის პირებს, რომლებიც არ სწავლობენ, არ მუშაობენ და არ გადიან რაიმე ტიპის გადამზადებას. წლების განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდობის ერთი მესამედი სწორედ ამ სეგმენტში ექცევა. 2023 წელს საქართველოში NEET ახალგაზრდების პროცენტულმა მაჩვენებელმა 26.% შეადგინა, რაც 174.1 ათასი ახალგაზრდის სოციო-ეკონომიკური პროცესების მიღმა დატოვებას გულისხმობს.

წინამდებარე ნარკვევის მიზანია გაანალიზოს პრობლემის წარმოშობის საფუძვლები, მისი ეკონომიკური შედეგები და ევროპული საუკეთესო პრაქტიკების მიმოხილვით გამოკვეთოს შესაძლო გამოსავლები.

ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში NEET ახალგაზრდების რაოდენობის შემცირება მოითხოვს მრავალსექტორულ მიდგომას, არაფორმალური განათლების, ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობის გააზრებას, ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრების ქსელის ჩამოყალიბებასა და სეგმენტის სისტემურ კვლევას, რაც უკვე დიდი ხნის განმავლობაში ვერბალურად გვხვდება სექტორულ მიზნებს შორის. ნაშრომში გამოყენებულია

[1] ნინი შაქარაშვილი არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის საჯარო პოლიტიკის ანალიზის ცენტრის (PPAHub) მონაწილე.

ხარისხობრივი კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ, ექსპერტული ინტერვიუები და მეორადი წყაროების ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: NEET ახალგაზრდები, ახალგაზრდული პოლიტიკა, განათლება, ახალგაზრდების დასაქმება, მოწყვლადი ჯგუფები.

შესავალი

საჯარო პოლიტიკაში ახალგაზრდების როლის შესწავლა და გააზრება არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო. დაბალი პოლიტიკური მხარდაჭერით დახასიათებადი ახალგაზრდობის პოლიტიკის სფერო მოიცავს სეგმენტს, რომელიც მომავალში ქვეყნის სამუშაო ძალად იქცევა და სახელმწიფოს ეკონომიკური წარმატება/წარუმატებლობის განმსაზღვრელი ხდება.

საქართველოს ახალგაზრდობის თითქმის ერთი მესამედი სოციო-ეკონომიკური არააქტიურობით ხასიათდება და ერთი ტერმინის - "NEET ახალგაზრდების" ქვეშ ექცევა (საქსტატი 2024). ტერმინი NEET ახალგაზრდები (Not in Education, Employment, or Training) ფართოდ გამოიყენება ახალგაზრდობის სფეროში არსებულ გამოწვევებზე საუბრისას და უმეტეს შემთხვევებში აღწერს 15-24 წლის ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან ჩართული ფორმალური განათლების პროგრამებში, არ მუშაობენ და არ გადიან რაიმე ტიპის გადამზადებას. მაშინ როდესაც ახალგაზრდების "უმუშევრობის" მაჩვენებელი წარმოაჩენს ვიწროდ ახალგაზრდების დასაქმების პრობლემებს, NEET კატეგორია აღწერს ახალი თაობის იმ ხშირად მარგინალიზებულ წარმომადგენლებს, რომლებიც მეტად კომპლექსური გამოწვევების წინაშე დგანან, ვიდრე დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობაა.

დიაგრამა 1. NEET ახალგაზრდების პოპულაცია



წყარო: *Ulziisuren, Erdenechimeg. (2017). Predictors for youth NEET in Mongolia: Evidence from the Labor Force Survey-2016; ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/320097097_Predictors_for_youth_NEET_in_Mongolia_Evidence_from_the_Labor_Force_Survey-2016*

2023 წლის მონაცემებით საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების 26.9% არ მუშაობს, არ სწავლობს და არ გადის რაიმე ტიპის გადამზადებას (საქსტატი 2023). აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის სამჯერ აღემატება 2022 წლისათვის ევროკავშირის წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 11.7%-ს შეადგენდა (მინიმალური: ნიდერლანდები - 4.2%; მაქსიმალური: რუმინეთი 19.8%)(Eurostat 2022).

დიაგრამა 2. *NEET ახალგაზრდების რაოდენობა საქართველოში სქესისა და წლების მიხედვით*

	2020	2021	2022	2023
სულ	**35.1**	**34.6**	**30.7**	**26.9**
ქალი	38.4	37.3	34.5	30.9
კაცი	32.1	32.1	27.2	23.2

წყარო: *საქსტატი; ხელმისაწვდომია: 14-NEET.xlsx (live.com)*

2030 წლისათვის ევროკავშირი მიზნად ისახავს NEET ახალგაზრდების რაოდენობის 9%-მდე შემცირებას. 2023 წელს საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს კანდიდატის სტატუსის მოპოვებასთან ერთად, სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდეს ჩვენი სამიზნე პროცენტულობაც.

წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევი პრობლემად საქართველოში NEET ახალგაზრდების კრიტიკულად მაღალ რაოდენობრივ მაჩვენებელს წარმოაჩენს და ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს:

- რა ქვე-კატეგორიებისაგან შედგება NEET ახალგაზრდების დემოგრაფია საქართველოში და რა კონკრეტული გამოწვევების წინაშე დგანან ისინი?
- რამდენად დიდია პრობლემის გავლენა ზოგადად საქართველოს ახალგაზრდების სფეროსა და ეკონომიკისათვის?
- რა პრაქტიკებითა და მექანიზმებით არის შესაძლებელი მონაცემის დაახლოება ევროკავშირის სამიზნე ნიშნულთან საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით?

ნაშრომში გამოყენებულია ხარისხობრივი კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ, ექსპერტული ინტერვიუები და მეორადი წყაროების ანალიზი. ნაშრომი ეფუძნება არსებულ საერთაშორისო და ადგილობრივ წყაროებს, სეგმენტის კვლევების, ადგილობრივი კანონმდებლობისა და სხვა რელევანტური სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზს. კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის ევროპული ახალგაზრდული პოლიტიკის პროფესორთან, ჰოვარდ ვილიამსონთან, რომელიც მიიჩნევა NEET ახალგაზრდების ტერმინის ფუძემდებლად და სსიპ "ახალგაზრდობის სააგენტოს" სპეციალისტთან, ვერიკო ხელისუფალთან.

საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკა

NEET ახალგაზრდების გაძლიერების პროცესში მთავარი აქტორი ცენტრალური მთავრობაა, მის შემდეგ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჯარო დასაქმების სერვისებს, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს (Williamson, Fras,

& Lavchyan, 2021). შესაბამისად, პრობლემის გადაწყვეტისკენ სვლა სწორედ ცენტრალური პოლიტიკიდან უნდა დაიწყოს.

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, რომელშიც დასახულ იქნა 5 პრიორიტეტი, მათ შორის N2. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა და N4. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება. ყურადსაღებია, რომ კონცეფცია ითვალისწინებს NEET ახალგაზრდების პრობლემატიკას და მოსალოდნელ შედეგად N4.2 განსაზღვრავს: “განათლების, დასაქმებისა და ტრენინგების მიღმა მყოფი ახალგაზრდების წილი მნიშვნელოვნად შემცირებულია” (Matsne 2020).

კონცეფციის პრიორიტეტებზე დაყრდნობით, 2019 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობის №411 დადგენილების საფუძველზე შექმნილ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს დაევალა შესაბამისი სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინირებულად მომზადება. დავალება “სახელმწიფოს ახალგაზრდობის სტრატეგია 2023 – 2026-ის” შექმნით შესრულდა, რომელშიც NEET ახალგაზრდების რაოდენობის შემცირება მიზნებს შორის აღარ გვხვდება (Matsen.ge 2022).

ბოლო სამი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან გაწეული პირდაპირი ძალისხმევა ერთადერთი პროექტის, Skills4Success, ფარგლებში გვხვდება, რომელიც UNDP Georgia-ს ჩართულობით განხორციელდა. ”უნარები წარმატებისთვის" პროექტის ფარგლებშიც დასაქმებულმა 20-მა მობილურმა ახალგაზრდულმა მუშაკმა საქართველოს 5 რეგიონის, 10 მუნიციპალიტეტში შექმნა ახალგაზრდული სერვისები და ჩართო 2000 ადგილობრივი NEET ახალგაზრდა. პროექტის დასრულების შემდგომ, 6-მა მუშაკმა განაგრძო საქმიანობა საქართველოს 3 რეგიონის 6 მუნიციპალიტეტში. ახალგაზრდობის სააგენტოს წარმომადგენლის თქმით განსაკუთრებულ სირთულეს ბენეფიციართა მოძიება და თავშეყრა წარმოადგენდა, შესაბამისად 2000 NEET ახალგაზრდის გაერთიანებამ მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა განმახორციელებელ უწყებას (სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტთან).

პროექტის წარმატების მიუხედავად დღეს სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ძალისხმევა არასაკმარისია NEET ახალგაზრდების ამდენად დიდი რაოდენობის შემცირებისათვის. იგივე ნათქვამია მსოფლიო ბანკის კვლევის დასკვნაშიც - „*სომხეთსა და საქართველოში ჯერაც არ მომხდარა NEET ფენომენზე ფოკუსირება და არ არსებობს კონკრეტულად ამ სეგმენტის*

პრობლემატიკასთან გამკლავებისაკენ მიმართული საჯარო პოლიტიკური მექანიზმები“ (WorldBank, 2019).

საქართველოს კონტექსტის მიმოხილვა

2022 წელს განათლების, გადამზადებისა და სამუშაოს მიღმა 15-29 წლის **212.4 ათასი** ახალგაზრდა დარჩა (საქსტატი 2024). ამავე წლის მაჩვენებლების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი დასაქმებული ახალგაზრდა ქვეყნის ეკონომიკაში ყოველწლიურად **$3,932.60-ის** კონტრიბუციას აკეთებდა. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკამ ამ წელს **835,665,702** აშშ დოლარი დაკარგა აუთვისებელი კაპიტალის, გადაუხდელი გადასახადისა და შეუქმნელი დოვლათის სახით.

უახლესი მონაცემები 2023 წლის შესახებ გვაქვს, ამ წელს საქართველოში 647.3 ათასი 15-29 წლის ახალგაზრდა ცხოვრობდა, რომელთაგან 174.1 ათასი პირი არ სწავლობს, არ მუშაობს და არ გადის რაიმე ტიპის გადამზადებას (საქსტატი 2024).

დიაგრამა 3. *15-24 წლის NEET ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა 2017 წლისთვის შესადარ ქვეყნებში*



წყარო: *მსოფლიო ბანკი; 2017*

სამუშაო ძალის საერთო ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი და NEET-ების მაღალი პროპორცია მიუთითებს, რომ საქართველოს ახალგაზრდები, განსაკუთრებით ქალები,

ირიყებიან სამუშაო ბაზრიდან. იმის გამო, რომ NEET ახალგაზრდები არ იძენენ გამოცდილებას დასაქმების გზით და არც კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ახდენენ ინვესტირებას განათლებაში, სავარაუდოა, რომ ისინი მომავალშიც ვერ მიიღებენ დამაკმაყოფილებელ შესაძლებლობებს პროდუქტიული სამუშაოს პოვნისათვის (Bynner, 2002).

NEET ახალგაზრდების დაყოფა რამდენიმე ჯგუფადაა შესაძლებელი, ტერმინი აერთიანებს: **1. უმუშევარ ახალგაზრდებს** (პარალელურად არ იღებენ განათლებასა ან გადამზადებას): რომელთაც აქვთ მუშაობის შესაძლებლობა და არიან სამუშაო მაძიებელთა შორის ან ელიან საზღვარგარეთ წასვლის შესაძლებლობას ან განიცდიან დემოტივაციას სამომავლო პერსპექტივის დანახვის შეუძლებლობის გამო. **2. არააქტიურ ახალგაზრდებს,** რომლებიც შემდგომ ნაწილდებიან სხვა ქვე-ჯგუფებში პასიურობის მიზეზიდან გამომდინარე (მაგ: ახალგაზრდა დედები, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები ა.შ). NEET ახალგაზრდებთან მუშაობის სირთულე სეგმენტის სწორედ ამ ჰეტეროგენული ბუნებიდან გამომდინარეობს.

დიგრამა 4. *NEET სეგმენტის ჰეტეროგენულობა სქესის, დასახლების ტიპისა და ქვე-ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის მიხედვით საქართველოსა და სომხეთში*



წყარო: *მსოფლიო ბანკი 2019; ხელმისაწვდომია:*
https://documents1.worldbank.org/curated/en/591061559766670862/pdf/Exploring-the-diversity-of-young-people-not-in-employment-education-or-training-NEET-the-gender-profile-of-NEETs-in-Georgia-and-Armenia.pdf

NEET ახალგაზრდების გამოწვევები

NEET ახალგაზრდების ტერმინის ქვეშ კომპლექსური გამოწვევების მქონე პირები იყრიან თავს, დიდია გენდერული და გეოგრაფიული უთანასწორობაც. სურათი ცვალებადია ქალაქსა და სოფლად მცხოვრები ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცებისათვის.

შედარებით მაღალი აკადემიური მოსწრების მიუხედავად, ქალები მაინც რჩებიან დასაქმების ბაზრიდან გარიყვის რისკის ქვეშ გამომდინარე მათზე არაპროპორციულად დაკისრებული ოჯახური პასუხისმგებლობებიდან (WorldBank, 2019). ოჯახური პასუხისმგებლობების ეს არათანასწორი დელეგირება ქალებზე ხსნის მოცემულობას, რომ NEET კატეგორიაში მოხვედრის რისკი ასაკთან ერთად განსაკუთრებით ქალებისთვის იზრდება (O'Dea, 2016).

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით NEET ახალგაზრდა ქალები უფრო ხშირად არიან დაოჯახებულები, ვიდრე საშუალო სტატისტიკური 18-29 წლის ქალები. NEET ახალგაზრდა ქალები უფრო ხშირად ექცევიან „არააქტიური ახალგაზრდების" ქვე-ჯგუფის ქვეშ, ვიდრე NEET მამაკაცები, რომლებიც მეტწილად „უმუშევრების" ქვე-ჯგუფში არიან.

განსხვავება სოფლებში მცხოვრებ NEET ქალი და მამაკაცი ახალგაზრდების რაოდენობას შორის ფართოვდება 18 წლის ასაკში, როდესაც სტანდარტულად ახალგაზრდები ასრულებენ სკოლას და იღებენ გადაწყვეტილებას შემდგომი კარიერის შესახებ. 18 წლის ასაკის შემდეგ აღნიშნული განსხვავება კიდევ უფრო ღრმავდება, მაშინ, როდესაც ქალაქის ტიპის დასახლებებში ეს ნაპრალი გაფართოებას 22 წლის ასაკიდან იწყებს და ემთხვევა ქალის რეპროდუქციული აქტივობის პერიოდს.

დიაგრამა 5. *გენდერული განსხვავება NEET ახალგაზრდებში ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საქართველოში*



წყარო: *მსოფლიო ბანკი 2019; ხელმისაწვდომია:*
https://documents1.worldbank.org/curated/en/591061559766670862/pdf/Exploring-the-diversity-of-young-people-not-in-employment-education-or-training-NEET-the-gender-profile-of-NEETs-in-Georgia-and-Armenia.pdf

NEET ახალგაზრდები ხშირად **ხვდებიან** ევროკომისიის მიერ რამდენიმე წლის წინ შექმნილ კატეგორიაში სახელწოდებით - „ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები“ (“young people with fewer opportunities”). აღნიშნული კატეგორია მოიცავს იმ 14-29 წლის პირებს, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნით ან კონკრეტული პასუხისმგებლობის, შეზღუდვის გამო ვერ ახდენენ პიროვნული პოტენციალის სრულ რეალიზებას (იხ. ცხრილი 1.) (Commision, 2020).

ცხრილი 1.

▪ შშმ ახალგაზრდები;
▪ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები
▪ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე ახალგაზრდები;
▪ მაღალმთიან და რთულად ხელმისაწვდომ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები;
▪ ახალგაზრდები დაბალი სოციალური ფენის ოჯახებიდან;
▪ გასამართლებული ახალაგაზრდები;

▪ ნარკო საშუალებების მომხარებელი ახალგაზრდები;
▪ საშუალო განათლების სისტემიდან ნაადრევად გასული ახალგაზრდები;
▪ უსახლკარო ახალგაზრდობა;
▪ LGBTQI ახალგაზრდები;
▪ ახალგაზრდები ოჯახებიდან, სადაც ოჯახის წევრები თავად არიან უმუშევრები;
▪ ახალგაზრდა დედები ან/და ზრუნვის პასუხისმგებლობის მქონე ახალგაზრდა ქალები;
▪ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ახალგაზრდები.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ორ ჯგუფს ("NEET" და "young people with fewer opportunities") შორის არსებობს ხშირი თანაკვეთა, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი მათგანის ტარგეტირება ავტომატურად გამოიწვევს მეორე ჯგუფის განვითარებას. NEET კატეგორიაში ექცევიან ის დემოტივირებული ახალგაზრდებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა სირთულე გარდა სამომავლო პერსპექტივის დანახვის დაბრკოლებებისა. მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის გენდერული პროგრამის კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ NEET კატეგორიაში მოხვედრის რისკი განსაკუთრებით მაღალია 20-25 წლის მამაკაცებისთვის და 22 წელს ზემოთ ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (WorldBank, 2019).

კონკრეტულად NEET ახალგაზრდებზე მორგებული ინტერვენციის საჭიროებას გამოკვეთს მოზარდთა და ახალგაზრდების საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნებული *მეტა*-ანალიზიც, რომელიც 2010-2023 წლებში ჩატარებული 43 კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდა და გამოიკვეთა, რომ NEET ახალგაზრდები არიან სუიციდისა (OR = 2.8, 1.8–3.8) და კრიმინალური ქმედების ჩადენის მაღალი რისკის ქვეშ (OR = 2.06, 1.47–2.65) (Rahmani, 2024). იგივე ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას გამოვკვეთოთ ე.წ „რისკ ფაქტორები" რომლებიც ზრდის შანსს ახალგაზრდა NEET კატეგორიაში აღმოჩნდეს (იხ. ცხრილი 2)

ცხრილი 2.

▪ მზრუნველობის პასუხისმგებლობის არსებობა ქალების შემთხვევაში ზრდის მათ შანსებს მოხვდნენ NEET კატეგორიაში ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით1.96, ამავდროულად იგივე პასუხისმგებლობის არსებობა ამცირებს ახალგზრდა მამაკაცების რისკს ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით 0.48.
▪ მიღებული განათლების დონე ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია პირის NEET კატეგორიაში აღმოჩენისათვის ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით 0.81;
▪ 14 კვლევის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები (განსაკუთრებით შფოთვითი აშლილობა) ზრდის ახალგაზრდის რისკს გახდეს NEET ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით 1.28. კონტრიბუტორია დეპრესიაც ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით 1.51.
▪ ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით 1.35;
▪ ალკოჰოლის მოხმარება და დამოკიდებულებები, გაანალიზებული ჯანსაღი ცხოვრების და ზოგადი კეთილდღეობის ჭრილში, ასევე წარმოადგენენ რისკ ფაქტორს ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით1.09;
▪ კრიმინალურ ქმედება წარმოშობს რისკს ახალგაზრდისათვის იქცეს NEETეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით 2.06;
▪ კონტრიბუტორია მშობლების უმუშევრობა და ფრმალური განათლების დაბალი დონე: მშობლების უმუშევრობა ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით 1.54 და განათლების დონე ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით 0.87;
▪ ოჯახის შემოსავალსა და მასში მცხოვრები ახალგაზრდის NEET სტატუსს შორის მჭიდრო კოროლაცია არსებობს: მეტა-ანალიზის მიხედვით NEET ახალგაზრდების 60% ცხოვრობს შინამეურნეობებში, რომლებიც შემოსავლის მიხედვით ქვეყნის ქვედა 40%-ს მიეკუთვენბიან.
▪ ეთნიკური წარმომავლობა შედარებით მაღალი განმაპირობებელია ახალგაზრდა მამაკაცების NEET სეგმენტში ტრანზიტისათვის (ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით 1.58), ვიდრე ქალებისთვის (ეფექტიანობის გაზომვის კოეფიციენტით 0.74).

კორელაციის არსებობა ახალგაზრდის კონკრეტული ტიპის ქცევისა თუ დემოგრაფიული მახასიათებლის და მისი NEET კატეგორიაში მოხვედრის რისკის შორის, ქმნის შესაძლებლობას ადრეულ ეტაპზევე მოხდეს იმ პირთა იდენტიფიცირება, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი რისკით დარჩნენ განათლების, დასაქმების და გადამზადების მიღმა.

როდის "ეთიშებიან" ახალგაზრდები დასაქმებისა და განათლების წრედს?

ახალგაზრდების NEET ჯგუფში ტრანზიტი არ არის წრფივი პროცესი, ის უფრო რკალს ჰგავს, რომელიც ეტაპ-ეტაპ აშორებს ახალგაზრდას შესაძლებლობებისგან. შესაძლოა გამოიყოს რამდენიმე „ტრანზიტული პერიოდი", რომლებიც განაპირობებს პირის შემდგომ აქტიურობას/პასიურობას.

საშუალო განათლება - საქსტატის 2022/2023 წლის მონაცემებით დაწყებით (6 კლასი), საბაზო (9კლასი) და საშუალო (12 კლასი) განათლების ეტაპებზე სასწავლო წლის განმავლობაში სწავლა შეწყვიტა 6,409 გოგონამ და 8,502 ბიჭმა (სულ 14,911) ეს ციფრი ამდენად მაღალი ზუსტად 10 წლის წინ 2013/2014 სასწავლო წლებში იყო, როდესაც სხვადასხვა ეტაპზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება 14,057 ახალგაზრდამ დატოვა. იმ პირთა შორის, რომლებმაც 2015-2020 წლების განმავლობაში დაასრულეს 9 კლასი, 32,009 ახალგაზრდამ აღარ დაასრულა 12 კლასი.

უმაღლესი განათლება ან პროფესიული გადამზადება - 2022 წელს სკოლა დაამთავრა 45,423 ახალგაზრდამ, აქედან 2022/2023 სასწავლო წლის განამვლობაში საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა განაგრძო 37,738 ახალგაზრდამ, პროფესიულ პროგრამაზე კი 2,485 ახალგაზრდამ (ჯამში: 40,223). შესაბამისად, სკოლის დასრულების შემდეგ უმაღლესი განათლების ან პროფესიული კვალიფიკაციის მიღების გზა არ გააგრძელა 5,200 ახალგაზრდამ.

ცხრილი 6. *უმაღლეს განათლებასა და პროფესიულ გადამზადებას გამოთიშული ახალგაზრდების რაოდენობა 5 წლიან ჭრილში*

2017 - 2022 წლებში სკოლა დაამთავრა	199,632 პირმა
2018/2019 - 2022/2023 სასწავლო წლებში საბაკალავრო პროგრამაზე ან პროფესიულ სასწავლებელში ჩააბარა:	167,955 პირმა
უმაღლესი განათლების ან პროფესიული კვალიფიკაციის მიღების გზა არ გააგრძელა	31,677 პირმა

წყარო: *საქსტატი 2024; ავტორის კალკულაცია*

მიუხედავად იმისა, რომ განათლების წრედიდან გამოსვლა ქმნის მაღალ რისკს ახალგაზრდისათვის იქცეს NEET პირად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ახალგაზრდების მიერ საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების მაჩვენებლები შესაბამისობაშია ევროკავშირის წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან. ამავდროულად ვხედავთ, რომ NEET ახალგაზრდების პროცენტულობა თითქმის სამჯერ მაღალია საქართველოში. ეს პარადოქსი მიგვითითებს, რომ პრობლემის, NEET ახალგაზრდების დიდი რაოდენობის, ძირითადი გამომწვევი მიზეზი დასაქმების ეტაპზე წარმოიქმნება (WorldBank, 2019).

დასაქმება - 2017 – 2022 წლების პერიოდში ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა და შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობების მატებასთან ერთად ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე მაინც იზრდებოდა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში არაა საკმარისი ახალგაზრდებზე მორგებული დასაქმების შესაძლებლობები და ამავეს მოწმობს ფაქტი, რომ 2017-2021 წლებში დასაქმებულ ახალგაზრდებს შორის სრულ განაკვეთზე დასაქმებული ახალგაზრდების წილი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული ახალგაზრდების წილს (გიორგი ხიშტოვანი, 2023)

საქართველოში 16-29 წლის ახალგაზრდების უმუშევრობის 25.4%-იანი მაჩვენებლის მიღმა დგას თანხვედრის ნაკლებობაც ადამიანური რესურსის უნარებსა და დამსაქმებლების მოთხოვნებს შორის (საქსტატი 2023). STEP Employment Survey-ზე დაყრდნობით, ჰენდელი, ვალერიო და სანჩეს პუერტა (2016) ასკვნიან, რომ განათლების შეუსაბამობა მაღალია გარდამავალ ეკონომიკებში. სომხეთში/საქართველოში სამუშაოთა მხოლოდ 66% საჭიროებს განათლების და უნარების იმ დონეს, რომელსაც დასაქმებულები ფლობენ, ხოლო დასაქმებულთა 28-29 პროცენტი აცხადებს, რომ არის ზედმეტად კვალიფიციური საკუთარი სამუშაოსათვის. პარალელურად ბიზნესები განვითარების დამაბრკოლებელ მნიშვნელოვან ფაქტორად სწორედ სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების ნაკლებობას გამოთქვამენ. ეს მოცემულობა მიგვითითებს „შუა რგოლების“ არსებობის აუცილებლობაზე, რომლებიც სამუშაო მაძიებლებს უნარების მაძიებლებთან უფრო ეფექტურად დააკავშირებს.

სსიპ “ახალგაზრდობის სააგენტოს” 2020 წელს ჩატარებული ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევის მიხედვით გამოკითხულთა 80.8% ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტში დასაქმება ძალიან რთულია (YouthAgency, 2020), რაც ასევე ადასტურებს კარიერული Match-Maker-ების საჭიროებას.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლიდან დასაქმებაში ტრანზიტი კრიტიკული განმსაზღვრელია იმისა გადავა თუ არა ახალგაზრდა NEET კატეგორიაში, არც წარსული დასაქმება არის გარანტია იმისა, რომ ახალგაზრდა მუდმივად დარჩება სამუშაო ძალის ნაწილად. ზემოთ განხილული ეს კომპლექსური სეგმენტი და სიტუაცია წარმოაჩენს NEET ახალგაზრდების ხელშეწყობისათვის მიზანმიმართული ინტერვენციის საჭიროებას.

ევროპული პრაქტიკა

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს კანდიდატის სტატუსის მოპოვებით საქართველო იწყებს ევროკავშირის კანონმდებლობასა და საჯარო პოლიტიკურ ინიციატივებთან დაახლოების მრავალწლიან პროცესს. ახალგაზრდობის სეგმენტის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემის, NEET ახალგაზრდების პროცენტულობის შემცირების გზაზეც წარმატებული პრაქტიკების ძიებისათვის სწორედ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისაკენ უნდა გავიხედოთ.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში NEET ახალგაზრდების წილის საშუალო მაჩვენებელმა პიკს 2013 წელს მიაღწია (16.1%), მას შემდეგ, კოვიდ პანდემიის წლების გამოკლებით, მაჩვენებელი სტაბილურად მცირდება და 2023 წელს ისტორიულ მინიმუმს 11.2%-ს აღწევს. აღნიშნული კლება შედეგად მოჰყვა იმ მრავალფეროვან პან-ევროპულ თუ ლოკალურ პროგრამებს, რომლებიც კავშირის წევრ ქვეყნებში განხორციელდა. სახელმწიფოთა ამ ძალისხმევას საფუძვლად უდევს გააზრება იმისა რომ NEET ახალგაზრდების დიდი რაოდენობა ევროპულ ქვეყნებს ყოველწლიურად 142 მილიარდი ევრო უჯდებოდა (2015 წლის მონაცემებით) დაკარგული ბენეფიტების, გადასახადებისა და სარგებლის სახით (Mascherini & Ledermaier, 2016). სწორედ ამ ძალისხმევის ნაწილი პროგრამა "ახალგაზრდების გარანტია" (Youth Guarantee), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის მასშტაბურ ინიციატივას, შექმნილს, რათა ყოველმა ახალგაზრდამ მიიღოს დასაქმების, სწავლის გაგრძელების, სტაჟირებისა ან უნარ-ჩვევების განვითარების შეთავაზება ფორმალური სასწავლებლის ან სამუშაოს დატოვებიდან 4 თვის განმავლობაში (European Commision 2024). ახალგაზრდობის დასაქმების ინიციატივა (YEI) კი არის ერთ-ერთი მთავარი ფინანსური პროგრამა, რომელიც მხარს უჭერს ახალგაზრდების გარანტიის სქემების განხორციელებას. პროგრამა 2013 წელს შეიქმნა იმ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების დასახმარებლად, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი 25%-ზე მეტი იყო. გარდა ამისა, 2021-

2027 წლების შუალედში პროგრამაში ინტეგრირდა ვალდებულება, რომ წევრმა ქვეყნებმა, რომლებშიც 15-დან 29 წლამდე NEET პირების პროცენტული ოდენობა აღემატება ევროკავშირის 2017-2019 წლების საშუალოს მაჩვენებელს, "ევროპული სოციალური ფონდი პლუსიდან" (ESF+) მიღებული რესურსების მინიმუმ 12.5% დაუთმონ ახალგაზრდებს (European Commision 2024).

ნათელია, რომ საქართველოს მსგავსი მასშტაბის პროგრამების წარმოების რესურსი ნაკლებად აქვს, გარდა ამისა ევროკავშირში და ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში არსებული მსგავსი მექანიზმებიც კი ხდება კრიტიკის საგანი, რადგან აღნიშნული მექანიზმები ხშირად არასათანადოდ აფასებს ახალგაზრდებთან ინდივიდუალური მუშაობისა და მათთვის რელევანტური კომუნიკაციის მნიშვნელობას. ევროპული ახალგაზრდული პოლიტიკის პროფესორი, ჰოვარდ ვილიამსონი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმას, თუ რამდენად ახერხებს "ახალგაზრდების გარანტიის" პროგრამა იმ ადამიანების პოვნას, ვისაც ის რეალურად სჭირდება (Euractiv 2014).

ზემოთ განხილული ნარატივი გაზიარებადია ევროპის საბჭოშიც - „არაფორმალური განათლება და ახალგაზრდული სამუშაო (Youth Work) არ იღებენ იმ სოციალურ და პოლიტიკურ აღიარებას, რასაც იმსახურებენ. ახალგაზრდული მუშაკები ხშირად ითვლებიან "დაბალი სტატუსის" პროფესიონალებად და არ ხდება არაფორმალური განათლების მეშვეობით მიღებული კომპეტენციების აღიარება." ნათქვამია ევროპის საბჭოს პუბლიკაციაში (Council of Europe 2024).

ახალგაზრდული სამუშაოს მნიშვნელობის გააზრების გარდა ევროპული პრაქტიკიდან ყურადღებამისაქცევია ავსტრიის ინიციატივა სახელწოდებით "Youth Check", რომელიც აყალიბებს ვალდებულებას ყოველი ახალი საკანონმდებლო თუ საჯარო პოლიტიკური ინიციატივა შეფასებულ იქნას იმ გავლენის მიხედვით, რომელიც მას შესაძლოა ჰქონდეს ახალგაზრდებზე. "Youth Check"-ის მეშვეობით ავსტრია ახალგაზრდების კეთილდღეობის პრიორიტეტულობას კვეთს და უზრუნველყოფს, რომ საჯარო პოლიტიკის ნებისმიერ სფეროში მიღებული გადაწყვეტილება თანხვედრაში მოდიოდეს სახელმწიფოს ახალგაზრდულ პოლიტიკასთან. მსგავსი ჰოლისტური მიდგომა პოლიტიკის წარმოებისადმი ბენეფიტების მომტანი იქნება საქართველოში NEET ახალგაზრდების მაღალი რიცხვის რეგულირებისთვისაც, გამომდინარე იქიდან, რომ NEET სეგმენტი დაკომპლექტებულია არაერთი ქვე-კატეგორიისაგან, რომელთა წარმომადგენლებიც შესაძლოა მოწყვლადნი იყვნენ ნებისმიერი საჯარო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმართ.

დასკვნა და რეკომენდაციები

NEET სეგმენტის ანალიზისას გამოჩნდა თუ რამდენად ჰეტეროგენულია აუდიტორია და რამდენად განსხვავებულია ყოველი მათგანის სეგმენტში მოხვედრის მიზეზები. თუ აღნიშნულ ფაქტს საერთაშორისო პრაქტიკის უახლეს გაკვეთილებთან ერთად გავიაზრებთ, დავუბრუნდებით აზრს, რომ პრობლემის გადაწყვეტა ინდივიდუალურ მიდგომასა და ადამიანურ კომუნიკაციაში ძევს. საჭიროა სერვისების შექმნა, რომლებიც ბენეფიციართათვის არ აღიქმება საქველმოქმედო პროგრამად, რომლებიც არ ელიან შესაძლებლობების მაძიებელ პირებს, არამედ თავად პოულობენ იმ ახალგაზრდებს, ვისაც ის მეტად სჭირდება.

ანალიზმა ასევე წარმოაჩინა პრევენციის მნიშვნელობა ახალგაზრდების NEET სეგემნტში ტრანზიტის თავიდან არიდების მიზნით და გამოკვეთა ე.წ ტრანზიტულ პერიოდებში (საშუალო განათლებიდან პროფესიულ/უმაღლეს განათლებაზე, განათლებიდან დასამქებასა და გადამზადებაზე) ინტერვენციის საჭიროება.

ჰოლისტური, მიზანმიმართული და მდგრადი პოლიტიკა მნიშვნელოვანია ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირებისა და სოციალური ჩართულობის გაუმჯობესებისათვის. ქართველი ახალგაზრდების თითქმის ერთი მესამედის სოციო-ეკონომიკური არააქტიურობის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია პრობლემის პრიორიტეტიზაცია პოლიტიკურ დონეზე, კონკრეტული მიზნების განსაზღვრა და როგორც უწყებათაშორისი, ისე ინტერსექტორული თანამშრომლობების ჩამოყალიბება.

<u>საქართველოს მთავრობისთვის</u>

- ახალგაზრდის მიერ ფორმალური განათლების დაწესებულების ნაადრევად შეწყვეტის შემთხვევებზე ეფექტური რეაგირების მოხდენა, მსგავსი შემთხვევების მოკვლევისა და შესაბამისი გამოსავლების (უკვე არსებული სერვისების) შეთავაზების გზით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესი განხორციელდეს ახალგაზრდული მუშაკის ჩართულობით.
- ხარისხიანი დასაქმების უზრუნველსაყოფად, კერძო სექტორის წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეებისათვის, განსაკუთრებით კი ადგილობრივი ბიზნესისათვის, წამახალისებელი საშუალებების შეთავაზება, შესაბამისი საგადასახადო შეღავათებისა და ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმების სახით.

- სახელმწიფოს თანამონაწილეობითა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით უნარების მაძიებლებისა და სამსახურის მაძიებელთა შემაკავშირებელი რგოლების ჩამოყალიბება.
- საქართველოში უკვე არსებული მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისაკენ მიმართული სერვისების შემოწმება/გადააზრება, იმის მიხედვით თუ რამდენად ახერხებენ ისინი ახალგაზრდების მხარდაჭერას, რამდენად აქვთ მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ახალგაზრდებს ინფორმაცია მათი არსებობის შესახებ.
- ავსტრიის გამოცდილებაზე დაყრდნობით (Youth Check), საჯარო სერვისების შექმნის პროცესში სავალდებულო შემოწმებების განხორციელება მათი ახალგაზრდებზე პოტენციური გავლენის ან/და მათში ახალგაზრდების ჩართულობის გამოცდილების შეფასებისათვის.
- საქართველოში ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრების ქსელის ჩამოყალიბება, ახალგაზრდული მუშაკების სერვისების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა NEET ახალგაზრდებისათვის.
- საქართველოში NEET ახალგაზრდების დემოგრაფიის სიღრმისეული კვლევა, ადგილობრივი გამოცდილების მიხედვით სეგმენტში მოხვედრის „რისკ ფაქტორების“ იდენტიფიცირება და სეგმენტის წარმომადგენლებთან სავალდებულო ყოველწლიური გამოკითხვების წარმოება მათი გამოწვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და იმპლემენტირებული მექანიზმების ეფექტურობის შეფასების მიზნით (სერბეთის მაგალითზე (Youth Participation 2020)).

გამოყენებული ლიტერატურა

Bynner, J., & Parsons, S. 2002. Social exclusion and the transition from school to work: The case of young people not in education, employment, or training NEET. *Journal of Vocational Behavior*, 60(2), 289–309. ხელმისაწვდომია: https://doi.org/10.1006/jvbe.2001.1868. ბოლოს ნანახია: 10.08.2024

European Commission. 2020. *Glossary on Youth*. Council of Europe. ხელმისწავდომია: Glossary on youth - Youth Partnership (coe.int) ბოლოს ნანახია: 10.08.2024

Mascherini, M., & Ledermaier, S. 2016. *Exploring the diversity of NEETs*. Dublin: Eurofund. ხელმისაწვდომია: Exploring the diversity of NEETs | Massimiliano Mascherini - Academia.edu ბოლოს ნანახია: 10.08.2024

O'Dea, B., & Glozier, N. 2016. A prospective cohort study of depression course, functional disability, and NEET status in help-seeking young adults. *Social Psychiatry and Psychiatric Epidemiology*, 51, 1395–1404. ხელმისაწვდომია: Depression course, functional disability, and NEET status in young adults with mental health problems - ScienceDirect ბოლოს ნანახია: 10.08.2024

Rahmani, H., & Ghasemi, A. 2024. Unravelling the NEET phenomenon: A systematic literature review and meta-analysis of risk factors for youth not in education, employment, or training. *International Journal of Adolescence and Youth*. ხელმისაწვდომია: Full article: Unravelling the NEET phenomenon: a systematic literature review and meta-analysis of risk factors for youth not in education, employment, or training (tandfonline.com) ბოლოს ნანახია: 10.08.2024

Williamson, H., Fras, M., & Lavchyan, Z. 2021. *ABOUT TIME! A reference manual for youth policy from a European perspective*. Strasbourg: Council of Europe. ხელმისწავდომია: ABOUT TIME! A reference manual for youth policy from a European perspective - Youth Partnership (coe.int) ბოლოს ნანახია: 10.08.2024

World Bank. 2019. *Exploring the diversity of young people not in employment, education, or training (NEET): The gender profile of NEETs in Georgia and Armenia*. South Caucasus Gender Program (P160432). ხელმისწავდომია: https://documents1.worldbank.org/curated/en/591061559766670862/pdf/Exploring-the-diversity-of-young-people-not-in-employment-education-or-training-NEET-the-gender-profile-of-NEETs-in-Georgia-and-Armenia.pdf ბოლოს ნანახია: 10.08.2024

Youth Agency. 2020. *ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევა*. თბილისი: ახალგაზრდობის სააგენტო. ხელმისწავდომია: გაერთიანებული-კვლევის-შედეგები_2020.pdf (youthagency.gov.ge) ბოლოს ნანახია: 10.08.2024

ხიშტოვანი, გიორგი, & ბენდელიანი, სერგი. 2023. *ახალგაზრდების დასაქმება საქართველოში*. თბილისი: PMC კვლევითი ცენტრი. ხელმისწავდომია: 0b506385cf40eab2c.pdf (pmcresearch.org) ბოლოს ნანახია: 10.08.2024

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2020: „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის" დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0 ბოლოს ნანახია: 15.09.2024

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო 2022: "ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026 და 2023 წლის სამოქმედო გეგმა". ხელმისაწვდომია: ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026 და 2023 წლის სამოქმედო გეგმა.pdf (youthplatform.gov.ge). ბოლოს ნანახია: 15.09.2024

World Bank. 2010. *Young people in Eastern Europe and Central Asia : from people to action.* World Bank Group. ხელმისაწვდომია: https://documents1.worldbank.org/curated/en/386001468037743002/pdf/438520WP0Box3211Background01PUBLIC1.pdf?_gl=1*1492tqu*_gcl_au*NzY5ODUyMDk3LjE3MjY2NTk2NTM. ბოლოს ნანახია: 15.09.2024

Eurostat. 2022. *NEET statistics.* Eurostat. ხელმისაწვდომია: Statistics on young people neither in employment nor in education or training - Statistics Explained (europa.eu) ბოლოს ნანახია: 15.09.2024

Ulziisuren, B., & Erdenechimeg, G. 2017. *Predictors of NEET Status Among Youth in Mongolia.* Asian Journal of Social Science, 45(3), 245-260. ხელმისაწვდომია: (PDF) Predictors for youth NEET in Mongolia: Evidence from the Labor Force Survey-2016 (researchgate.net) ბოლოს ნანახია: 15.09.2024

Council of Europe. 2024. *Supporting non-formal education and youth work: Taking it seriously.* ხელმისწვდომია: https://rm.coe.int/iii-b-supporting-non-form-edu-and-youth-work-taking-it-seriously-p43/1680939095. ბოლოს ნანახია: 15.09.2024

European Commission. (n.d.). *Youth Guarantee.* Retrieved September 15, 2024, from ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1079&langId=en. ბოლოს ნანახია: 15.09.2024

Euractiv. 2021, April 7. *Scientist: "A youth guarantee cannot create jobs".* Retrieved September 15, 2024, ხელმისწვდომია: https://www.euractiv.com/section/employment-and-social-affairs/news/scientist-a-youth-guarantee-cannot-create-jobs/. ბოლოს ნანახია: 15.09.2024.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორობის გაძლიერებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, და GIP-ის შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:
ნინი შაქარაშვილი, *„NEET ახალგაზრდები: თაობა განათლების, დასაქმების, გადამზადების მიღმა“*, პოლიტიკის ნარკვევი #68, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024
13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ:
www.gip.ge